ოქმი:**ო31. 3123096001**

თარიღი:**06/04/2023**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის**
**ოქმი N5**

ქ. ლანჩხუთი

04. 04. 2023 წელი.

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კახა კვიტაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ხათუნა ვადაჭკორია.

**მოწვეული სტუმრები:** მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომის დაწყებამდე დამსწრე საზოგადოებას მიმართა თხოვნით, რათა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ საქართველოს დამსახურებული პედაგოგის, ქალბატონი მაყვალა გვარჯალაძის ხსოვნისადმი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.“

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.“

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/.

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად ჩაითვალა ქ.ლანჩხუთში ცენტრალურ მოედანზე (წრიულზე)მდებარე საათის დემონტაჟი და მის ადგილზე სახელმწიფო დროშის აღსამართად შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, საორიენტაციო ღირებულებით 23000 ლარი. პროექტის დაფინანსება განხორციელდება საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 მარტის N545 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი გრანტით. ტაქომეტრის (ჯიპიეს მოწყობილობა) შეძენა განხორციელდება საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 მარტის N545 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი კაპიტალური გრანტით, საორიენტაციო ღირებულებით 35000 ლარი. ქალაქის, მაჩხვარეთის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზების რეაბილიტაციაზე მიიმართება 20508,07 ლარი საქართველოს მთავრობის 11.03.2021 წლის N330 განკარგულების ნაშთიდან, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჭალაში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე მიიმართება სულ 308566 ლარი, მათ შორის 29.12.2022 წლის N2475 განკარგულებით 293137 ლარი და საბიუჯეტო სახსრებით 15429 ლარი.

საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დაფინანსება გაიზრდება 1011829,82 ლარით. მერიის საქონელი და მომსახურების ხარჯი გაიზრდება 16571 ლარით. ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა გაიზრდება 3000 ლარით. დაკმაყოფილდება ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის მოთხოვნა 50000 ლარის დამატებით დაფინანსების გამოყოფის თაობაზე და ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების 50000 ლარის შემცირების ხარჯზე, ვინაიდან ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება გათვალისწინებული იქნა მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან და დაფინანსება განისაზღვრება 150000 ლარის ფარგლებში. ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში სხვა ხარჯების მუხლის 5000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზრდება საქონელი და მომსახურების ხარჯი 4050 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 950 ლარით. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში საქონელი და მომსახურების ხარჯი შემცირდება 912 ლარით და გაიზრდება არაფინანსური აქტივების ხარჯი 912 ლარით.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** კითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, თუ რამ განაპირობა ქალაქის ცენტრში ძვირადღირებული საათის დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და სად აპირებენ მის გადატანას. ამასთანავე აღნიშნა, რომ ეროვნული დროშის წინააღმდეგი ნამდვილად არავინ არ არის, მაგრამ დროშასთან დაკავშირებით შეიქმნება გარკვეული პრობლემა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ საათის შეკეთების მიზნით, ბოლო ორი წლის განმავლობაში არაერთი სპეციალისტი ჰყავდათ ჩამოყვანილი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი შეკეთებას აღარ ექვემდებარება და ფაქტობრივად, არ მუშაობს. რაც შეეხება მის ძვირადღირებულებას, უნდა მოხდეს საათის ღირებულების შეფასება დღეის მდგომარეობით, ხოლო მის გადატანასთან დაკავშირებით მიდის მსჯელობა. ამასთან, მუნიციპალიტეტის მხრიდან თხოვნა იყო, რომ ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, ქალაქის ცენტრში აღიმართოს შესაბამისი სიმაღლის ეროვნული

დროშა. გარდა ამისა, ნამდვილად არ იქნება პრობლემა, ადგილობრივ ბიუჯეტში გამოინახოს გარკვეული თანხა, რათა წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალოს ქარისა და წვიმისგან დაზიანებული დროშა და არა კონსტრუქცია, როგორც ხდება შესაბამისი მომართვის საფუძველზე მუნიციპალიტეტში არსებულ სხვა დროშებთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.**
**მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 1 წევრი (გიორგი გოგუაძე).**
**მიღებულ იქნა დადგენილება N11 (04.04.2023).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესი განისაზღვრა შემდეგნაირად:

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესი“ (შემდგომში – წესი) არეგულირებს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2023 წლის 1 აპრილიდან საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 127-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (შემდგომში მშენებლობის შეჩერების შესახებ აქტი) შესრულების კონტროლის განხორციელების წესს.

2. მშენებლობის შეჩერების შესახებ აქტის მიღების შემდეგ ამ აქტის შესრულების კონტროლის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და გაცნობა ხდება მოქმედი კანონმდებლობის და ამ წესის საფუძველზე.

მუხლი 2. მშენებლობის შეჩერების შესახებ აქტის შესრულების კონტროლის წესი

1.ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია მშენებლობის შეჩერების შესახებ აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, ამ აქტის შესრულების კონტროლის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა.

2. ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია აწარმოოს შესაბამისი საინფორმაციო ბაზა/რეესტრი, რომელშიც ასახული იქნება ის ობიექტები, რომელთა მშენებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით შეჩერებულ იქნება 2023 წლის 1 აპრილიდან.

3. ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული საინფორმაციო ბაზის/რეესტრის წარმოების პროცესისათვის გამოყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მშენებლობის შემოწმება გულისხმობს ზედამხედველობის სამსახურში დასაქმებული პირების მიერ, მშენებლობის შეჩერების შესახებ აქტში მითითებული შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის აღმოფხვრა/გამოსწორების შემოწმებას.

5. ამ მუხლის მეოთხე პუნქტში მითითებულ შემოწმების პროცესში, აუცილებელია გადაღებულ იქნას ობიექტის ფოტოსურათები, რომლებზეც მითითებულ უნდა იქნას გადაღების თარიღი და შედგენილ იქნას დათვალიერების ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს შეჩერებული სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის გამოსწორება/ აღმოფხვრის ფაქტი.

6. დათვალიერების ოქმი უნდა შედგეს სათანადო წესით და მოეწეროს ხელი ზედამხედველობის სამსახურში დასაქმებული შესაბამისი პირ(ებ)ის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დათვალიერების ოქმში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე. შესაძლებელია დათვალიერების ოქმზე, ასევე, დაფიქსირდეს სამართალდამრღვევი პირის ხელმოწერაც, რომლის არარსებობამაც არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ოქმში მითითებული ინფორმაციის სისწორე.

7. მშენებლობის შეჩერების შესახებ აქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ზედამხედველობის სამსახური იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და იღებს გადაწყვეტილებას მშენებლობის შეჩერების შესახებ აქტის შეუსრულებლობის შესახებ, რომელიც აღსასრულებლად მიექცევა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ამ მუხლის მეშვიდე პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პერიოდულობით განახორციელოს ობიექტის შემოწმება.

9. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების შესახებ აქტში მითითებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების საფუძველი, ზედამხედველობის სამსახური ამზადებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს „მშენებლობის შეჩერების შესახებ აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ამ მუხლის მეცხრე პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ზედამხედველობის სამსახურის ვალდებულება არ ვრცელდება ამგვარი ობიექტების მიმართ.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, რატომ გახდა კონკრეტული საკითხის ასე სასწრაფოდ დამტკიცების საჭიროება და რატომ არ იქნა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სხვა პაკეტთან ერთად გამოტანილი განსახილველად.

მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, რომ მუხლები, რომლებიც უნდა შევიდეს აღნიშნული სამსახურის დებულებაში, უკვე თავისთავად გაწერილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და მიმდინარე წლის 1 აპრილიდან ამოქმედებულია. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უკვე არის უფლებამოსილი მოახდინოს, როგორც სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ოქმის შედგენა, ასევე ამ საქმეების განხილვაც. აქედან გამომდინარე, მოხდება აღნიშნული მუხლების დამუშავება და დაზუსტება, რის შემდეგაც შემოვა დასამტკიცებლად. რაც შეეხება წარმოდგენილ წესს, მისი მიღება ხდება უშუალოდ საკრებულოს მიერ, რომელიც მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით ადგენს, როგორ და რა პერიოდით განხორციელდეს გადამოწმება. სწორედ, ამის გათვალისწინებით, პირველ რიგში უნდა მოხდეს კონკრეტული საკითხის დამტკიცება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.**
**მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**
**მიღებულ იქნა დადგენილება N12 (04.04.2023).**

**ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

**4** აპრილი **2023** წელი
**12:00** საათი

| № | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ბესიკ ტაბიძე | 11 08 | |
| 2 | ემზარ თევდორაძე | 11 55 | |
| 3 | ვერიკო კვირკველია | 11 02 | |
| 4 | გიორგი ჩახვაძე | 11 50 | |
| 5 | გიორგი ხელაძე | 11 50 | |
| 6 | ალექსანდრე მახათაძე | 11 02 | |
| 7 | ზაზა წულაძე | 11 06 | |
| 8 | კარლო კვიტაიშვილი | 11 55 | |
| 9 | გიორგი იმნაიშვილი | 11 57 | |
| 10 | ია მოქია | 11:57 | |
| 11 | კახაბერ ასკურავა | 11 02 | |
| 12 | მაკა მშვიდობაძე | 12:00 | |
| 13 | ვლადიმერ ნანაძე | 11 55 | |
| 14 | კარლო წილოსანი | — | |
| 15 | ლოლიტა ურუშაძე | 11 55 | |
| 16 | ნინო მშვიდობაძე | 11:58 | |
| 17 | გოგი მორჩილაძე | — | |
| 18 | სპარტაკ კვაჭაძე | 11 54 | |
| 19 | გიორგი გოგუაძე | 11 45 | |
| 20 | გოჩა ჯანაშია | 11 55 | |
| 21 | ელისო ჭიჭინაძე | — | |
| 22 | რევაზ კვერენჩხილაძე | 11 58 | |
| 23 | კახა თედორაძე | — | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 24 | დარეჯან ბურჭულაძე | 11.55 | |
| 25 | ირმა მგელაძე | | 11.45 |
| 26 | გივი ციწცაძე | 11.50 | |
| 27 | ჯუმბერ ბლაგიძე | 11.55 | |